26 სექტემბერი, 2017 წელი

№120-ა

აუდიტორული დასკვნა

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის ხარჯვის მიზნობრიობის შესახებ

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა (შემდგომში - უნივერსიტეტი) და შპს „კომპაუდს“ (შემდგომში - აუდიტური კომპანია) შორის 2017 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის №176 ხელშეკრულების საფუძველზე აუდიტური კომპანიის მიერ ჩატარებულ იქნა უნივერსიტეტის მიერ საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის ხარჯვის მიზნობრიობის აუდიტორული შემოწმება.

აღვნიშნავთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2017 წლის 25 აპრილის №25/04/01 განკარგულების საფუძველზე, უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი პროექტის - „სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ლიტერატურული კაფეს“ განხორციელების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტს საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 13886 ლარი. მითითებული პროექტის მიზანს წარმოადგენდა უნივერსიტეტში ლიტერატურული კაფეს აღჭურვა, რომელიც მოემსახურებოდა უნივერსიტეტის სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და გორის რეგიონის ლიტერატურის, პოეზიისა და ხელოვნების მოყვარულ ადამიანებს. უნივერსიტეტის თანამონაწილეობა პროექტში განისაზღვრებოდა ფართის გამოყოფით (კომპიუტერული ლაბორატორიის სხვენი), შეძენილი მასალისაგან თანამედროვე დიზაინის დგამ-ავეჯის დამზადებითა და კაფეს ინტერიერის გაფორმებით, აგრეთვე ლიტერატურული კაფეს შესაბამისი პროფილით ფუნქციონირებით პროექტის მდგრადი განვითარების მიზნით. პროექტის ბიუჯეტის თანახმად თანხის ხარჯვა გათვალისწინებული იყო შემდეგი მიზნებით და რაოდენობებით: ნოუთბუქის (1 ცალი) შეძენა - 1130 ლარი, პრინტერი (1 ცალი) – 600 ლარი, პროექტორი (1 ცალი) – 900 ლარი, საკონფერენციო მაგიდის დასამზადებელი მასალა - 550 ლარი, წიგნის თაროების დასამზადებელი მასალა - 400 ლარი, საკანცელარიო საქონელი - 400 ლარი, სკამები (25 ცალი) – 700 ლარი, რბილი სკამი „პუფი“ (10 ცალი) – 350 ლარი, ინტერიერის გასაფორმებელი მასალა - 1561 ლარი, ლამინატი - 1260 ლარი, ყავის მოსადუღებელი

მრავალფუნქციური აპარატი (1 ცალი) – 2250 ლარი, აუდიტის მომსახურება - 400 ლარი, სპეციალური საცნობარო ლიტერატურა თანამედროვე ლიტერატურასა და ხელოვნებაში (სიის შესაბამისად) – 3000 ლარი, ფლიპჩარტის დაფა (1 ცალი) – 135 ლარი, პროექტორის ეკრანი (1 ცალი) – 250 ლარი.

უნივერსიტეტის მიერ ზემოაღნიშნული თანხების გამოყენება-ხარჯვის ოპერაციები ნაწარმოებია 2017 წლის 28 ივლისიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში (პრეზიდენტის ფონდიდან თანხის ჩამორიცხვა ნაწარმოებია 2017 წლის ივნისის თვეში).

ზემომითითებული მონაცემების მიხედვით შესაბამისი შესყიდვების საკითხები სათანადო კოდების შესაბამისად ასახულ იქნა უნივერსიტეტის 2017 წლის სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებულ გეგმაში (შესყიდვები III კვარტალში, მთლიანი თანხით 13886 ლარი).

აღნიშნული შესყიდვების გეგმის შესაბამისად, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის ფარგლებში ზემომითითებულ პერიოდში უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულია სათანადო სახელმწიფო შესყიდვები გამარტივებული შესყიდვითი ფორმით კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში ბიუჯეტითა და შესყიდვების გეგმით გათვალისწინებულ შესყიდვათა განხორციელების მიზნით უნივერსიტეტის მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის სულ 15 ხელშეკრულება შემდეგი მიზნობრიობითა და სახელშეკრულებო თანხებით: ი/მ ზვიად ღონღაძე - ხელშეკრულება №140, 28.07.17წ. - საკანცელარიო საქონელი - 402 ლარი; შპს „იუ-ჯი-თი“ - ხელშეკრულება №145, 01.08.17 წ. – ლაზერული პრინტერი - 493,93 ლარი და ხელშეკრულება №153, 10.08.17 წ. - პორტაბელური კომპიუტერი/ლეპტოპი - 1259,99 ლარი; შპს „ქავთარა“ - ხელშეკრულება №149, 04.08.17 წ. - სხვადასხვა დასახელების სამეურნეო საქონელი - 1333,40 ლარი; შპს „მეგა ტექნოლოგი“ - ხელშეკრულება №154, 15.08.17 წ. - პროექტორი (950 ლარი) და პროექტორის ეკრანი (200 ლარი), ანუ სულ 1150 ლარი; შპს „პარტნიორი ისანი“ - ხელშეკრულება №155, 16.08.17 წ. - ლამინირებული ხის მასალა (1020 ლარი) და საღებავი წყალ-ემულსია (180 ლარი), ანუ სულ 1200 ლარი; ი/მ ამალია აწკარუნაშვილი - ხელშეკრულება №162, 01.09.17 წ. - რბილი დასაჯდომი პუფები - 450 ლარი; შპს „პრიმავერა ჯორჯია“ - ხელშეკრულება №163, 04.09.17 წ. - ბეჭდური ლიტერატურა/ნაბეჭდი წიგნები - 1894,40 ლარი; ი/მ „გიორგი კანდელაკი - ვესტა“ - ხელშეკრულება №164, 04.09.17 წ. - საბეჭდი ქაღალდი - 65,20 ლარი; შპს „ლიბრა რეგიონები“ - ხელშეკრულება №165, 05.09.17 წ. - ბეჭდური ლიტერატურა/ნაბეჭდი წიგნები - 22,70 ლარი; ი/მ ბესარიონ გოგლიძე - ხელშეკრულება №168, 11.09.17 წ. - მინა - 85,0 ლარი; შპს „ჯი და ჯი G&G“ - ხელშეკრულება №169, 11.09.17 წ. - სკამები და სხვა სამეურნეო საქონელი - 1525,0 ლარი; შპს „ლატერნა“ - ხელშეკრულება №170, 15.09.17 წ. - ბეჭდური ლიტერატურა/ნაბეჭდი წიგნები - 525,72 ლარი; ი/მ ომარი მელაძე - ხელშეკრულება №172, 19.09.17 წ. - ყავის მოსადუღებელი მრავალფუნქციური აპარატი - 2952 ლარი; შპს „კომპაუდი“ - ხელშეკრულება №176, 21.09.17 წ. - აუდიტური მომსახურება - 400 ლარი. ანუ, მთლიანობაში სახელშეკრულებო თანხების ოდენობა

ჯამურად შეადგენს 13759,34 ლარს. ანაზღაურებული თანხების ოდენობაც მისი ადექვატურია. შესაბამისად, ფაქტობრივად გახარჯული თანხების ოდენობა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ და ბიუჯეტით გათვალისწინებულ, ზემოთ ნახსენებ 13886 ლარზე 126,66 ლარით ნაკლებია. აღვნიშნავთ, რომ ყველა ხელშეკრულება სრულად და ვადაშია შესრულებული, შედგენილია სათანადო მიღება-ჩაბარების აქტები და წარმოდგენილია შესაბამისი საგადასახადო და სასაქონლო დოკუმენტაციები. უნივერსიტეტის მიერ ასევე ვადაშია განხორციელებული სათანადო ანაზღაურებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის მიერ, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის მიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით აუდიტური კომპანიის მხრიდან არსებითი ხასიათის შენიშვნები არ დაფიქსირებულა. მივუთითებთ იმასაც, რომ დარჩენილი სხვაობის თანხა (როგორც ეკონომია და გაუხარჯავი თანხა) 126,66 ლარი ექვემდებარება უკან დაბრუნებას პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის სასარგებლოდ.

აუდიტური კომპანია „კომპაუდის“ დირექტორის მინდობილი პირი, სერთიფიცირებული აუდიტორი (სერთიფიკატი: ზოგად აუდიტში ზ № 6/276; საჯარო სექტორში N0003; აუდიტორის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი SARAS- A-814430) ვ. აბრალავა

აუდიტორ–პარტნიორი, სერთიფიცირებული აუდიტორი (სერთიფიკატი ზოგად აუდიტში ზ №5/572) ვ. კობიაშვილი